

2022

სს “სი ეს არ”

ფინანსური ანგარიშგება

*2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3-4
ფინანსური ანგარიშგება	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	16
5. ძირითადი საშუალებები	18
6. არამატერიალური ატივები	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
8. ინვესტიციები	19
9. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
10. საკუთარი კაპიტალი	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
12. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21
13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
14. მოგების გადასახადი	22
15. პირობითი ვალდებულებები	22
16. ფინანსური რისკის მართვა	22
17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

სააქციო საზოგადოება „სი ეს არ“-ის აქციონერებსა და დირექტორთა საბჭოს.

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „სი ეს არ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული მოგებ ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

როგორც აღწერილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 8-ში, კომპანიამ შეაფასა ინვესტიციები პრივილეგირებულ აქციებში რეალური ღირებულების ნაცვლად თვითღირებულების მეთოდით, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. შენიშვნა 8-ში მოყვანილია მიზეზები რის გამოც აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, რეალური ღირებულების რეპრეზენტატორად. ასეთი მიდგომა არ არის თავისებური ფასს 9 *ფინანსური ინსტრუმენტები*-თან, რადგან რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისია და არ არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი. ჩვენთვის შეუძლებელი იყო რეალური ღირებულების შეფასების შედეგად მისაღები კორექტირების ფინანსური ეფექტის რაოდენობრივი განსაზღვრა 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ პრივილეგირებულ აქციებსა და წმინდა მოგება ან ზარალზე.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია დასკვნის სექციაში *აუდიტორთა პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები “ზულალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს” (IESBA) “პროფესიონალ ზულალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის” (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში ფინანსურ ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს.

სხვა საკითხი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის აუდიტრებულ იქნა სხვა აუდიტორების მიერ რომელთაც გამოთქვეს მოდიფიცირებული მოსაზრება იმ ანგარიშგებაზე 2022 წლის 30 მარტს.

ხელმძღვანელობასა და მმართველობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიანად წარდგენაზე, ფასების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლის ისეთი მექანიზმების შემუშავებაზე, რომლებსაც ხელმძღვანელობა საჭიროდ მიჩნევს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან თავისუფალი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კომპანიის უნარის შეფასებაზე, განაგრძოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ, და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს კომპანიის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხს აცემენ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენს მიზანს წარმოადგენს, გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კომპანიის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;
- გამოვავაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ინფორმაციაზე, ან თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, ჩვენი მოსაზრებაც მოდიფიცირებული იქნება. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

ვახტანგ ნამორაძე
შპს „იუ ეივ ეკს“
თბილისი, საქართველო
2023 წლის 31 მარტი



სს „სი ეს არ“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	2,097	2,621
ინვესტიციები	8	308,463	308,463
არამატერიალური აქტივები	6	1,220	1,435
სულ გრძელვადიანი აქტივები		311,780	312,519
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	226,641	123,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	6,588	1,463
სულ მიმდინარე აქტივები		233,229	124,811
სულ აქტივები		545,009	437,330
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
სააქციო კაპიტალი	10	7,000	7,000
საემისიო კაპიტალი	10	351,501	351,501
გაუნაწილებელი მოგება		176,834	71,432
სულ საკუთარი კაპიტალი		535,335	429,933
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	9,674	7,397
სულ ვალდებულებები		9,674	7,397
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		545,009	437,330

9-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „სი ეს არ“
 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავლები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	12	143,661	56,219
ფინანსური შემოსავალი	9	15,610	7,585
სულ საოპერაციო შემოსავალი		159,271	63,804
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(50,869)	(41,266)
სულ საოპერაციო მოგება		108,402	22,538
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(3,000)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		-	1,212
მოგება დაბეგრამდე		105,402	23,750
მოგების გადასახადი	14	-	-
წლის წმინდა მოგება		105,402	23,750
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		105,402	23,750

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად ხელმძღვანელობის სახელით 2023 წლის 31 მარტს.

დირექტორი

დიანა სალირაშვილი

დ. სალირაშვილი



9-25 გვერდებზე წარმოადგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „სი ეს არ“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2021	10	7,000	351,501	47,682	406,183
წლის მოგება		-	-	23,750	23,750
წლის სრული შემოსავალი		-	-	23,750	23,750
31 დეკემბერი 2021	10	7,000	351,501	71,432	429,933
წლის მოგება		-	-	105,402	105,402
წლის სრული შემოსავალი		-	-	105,402	105,402
31 დეკემბერი 2022	10	7,000	351,501	176,834	535,335

9-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „სი ეს არ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება დაბეგრამდე		105,402	23,750
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	5; 6	739	909
დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	9	(15,610)	(7,585)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		90,531	17,074
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		2,277	2,400
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		(5,125)	1,130
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი სახსრები მოგების გადასახადის გადახდამდე და პროცენტის მიღებამდე		87,683	20,604
მიღებული პროცენტი		15,610	7,585
საოპერაციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		103,293	28,189
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		-	-
წმინდა ფულის ზრდა		103,293	28,189
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	123,348	95,159
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	9	226,641	123,348

9-25 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები მოცემული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელი ნაწილია.

სს „სი ეს არ“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართული ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება „სი ეს არ“ (შემდეგში „კომპანია“) დაარსდა და საგადასახადო ორგანოში დარეგისტრირდა 2016 წლის 17 მარტს. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის დირექტორი იყო მერაბ ვარდიაშვილია, ხოლო 2023 წლის 4 იანვარს განხორციელდა ცვლილება და დიანა საღირაშვილი დაინიშნა ახალ დირექტორად. ასევე 2022 წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან ვახტანგ სვანაძე (თავმჯდომარე), მერაბ მემარნიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე) და გიორგი ლოლაძე, ხოლო 17 თებერვალს 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს საბოლოო დირექტორად არჩეულ იქნა ერეკლე უგრელიძე. კომპანია მუშაობს საქართველოში ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 2016 წლის 5 მაისს გაცემული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის შესაბამისად.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 16 მარტის წესდების მიხედვით შედგება 1 (ერთი) თეთრის ნომინალური ღირებულების მქონე 500,000 ცალი ჩვეულებრივი აქციისგან. 2016 წლის 5 სექტემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ნებადართული აქციების რაოდენობა გაიზარდა 500,000 ერთეულით და განისაზღვრა 1,000,000 აქციით. 2016 წლის 3 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით დამატებითი 500,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქციიდან გამოიცა 200,000 აქცია, რომელიც არსებულ მფლობელებზე მათი წილის პროპორციულად განაწილდა.

2022 წლის 31 დეკემბრის, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერები არიან: სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“ – 25,5%, ვარდიაშვილი მერაბი – 15,7%, ლოლაძე გიორგი – 7,2%, მემარნიშვილი მერაბი – 35,7% და სვანაძე ვახტანგი – 15,7%. კომპანია ახორციელებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურებას.

კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გამზირი ი.ჭავჭავაძე, N 74/11.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება („ფინანსური ანგარიშგება“) მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, გარდა რეალური ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭომ შეაფასა კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად. უფრო მეტიც ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი დაბადოს კომპანიის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

რეკლასიფიკაცია

კომპანია შეცვალა წინა წლის აქტივების ანგარიშგების ცალკეული მუხლების კლასიფიკაცია. კომპანია მიიჩნევს, რომ ცვლილებები წარმოადგენს სანდო და უფრო რელევანტურ ინფორმაციას.

შემდეგი რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული თანხა
დეპოზიტები	90,490	(90,490)	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	32,858	90,490	123,348
სულ მიმდინარე აქტივები	124,811	-	124,811

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

მოთხოვნამდე დეპოზიტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ სს "კრედიო ბანკში" და სს "თი-ბი-სი ბანკში". მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს შემენის თარიღიდან სამ თვეზე ნაკლებ და ასევე სამ თვეზე ხანგრძლივ პერიოდს, მაგრამ რომლებზეც კომპანიას აქვს ცალმხრივი უფლება გაანადღოს ანგარიში ბანკის შეტყობინების შემდეგ, მნიშვნელოვანი ჯარიმების ან/და საურავების გარეშე. შესაბამისად, შინაარსიდან გამომდინარე, ეს დეპოზიტები კლასიფიცირებულია როგორც მოთხოვნამდე დეპოზიტები, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში დაკლასიფიცირდა როგორც ფული და ფულის ექვივალენტები.

შემდეგი რეკლასიფიკაცია განხორციელდა ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში 31 დეკემბერი 2021 წლით დასრულებული წლისათვის:

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცირებული თანხა
განთავსებული დეპოზიტების ზრდა	1,838	(1,838)	-
საინვესტიციო საქმიანობაში მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,838	(1,838)	-
წმინდა ფულის ზრდა	30,027	1,838	28,189

2020 წლის 31 დეკემბერის დასრულებული პერიოდისათვის 92,328 ლარის ღირებულების დეპოზიტები რეკლასიფიცირდა, როგორც ფული და ფულის ექვივალენტები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი.

ფინანსური ინსტრუმენტები - პირველადი აღიარება და შემდგომი აღრიცხვა

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი კონტრაქტი, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივს ერთი კომპანიისთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან კაპიტალის ინსტრუმენტს მეორე კომპანიისთვის.

ფინანსური აქტივი

ყველა ფინანსური აქტივი, წილობრივი ინსტრუმენტებისა და, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა, ფასდება კომპანიის მიერ ამ აქტივების მართვის ბიზნესმოდელის და ასევე ამ ინსტრუმენტზე სახელშეკრულებო ფულად ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე.

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდეგ კატეგორიებად:

- რეალური ღირებულებით, მოგებისა და ზარალში ასახვით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, სავალ ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებასა და ზარალში გადატანით;
- რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, წილობრივი ინსტრუმენტების გაყიდვისას მისი მოგებასა და ზარალში გადატანის გარეშე;
- ამორტიზებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით. ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგებასა და ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯებით. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს გაცემულ სესხებს და დებიტორულ დავალიანებებს თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი ორი პირობა:

- ფინანსური აქტივი იმართება ისეთი ბიზნესმოდელით, რომლის მიზანიც არის ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს (SPPI) ძირითადი თანხის დარჩენილ ნაშთზე.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

კომპანია ფინანსურ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აფასებს რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), როდესაც კმაყოფილდება ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ინსტრუმენტი ფლობილია ბიზნესმოდელის ფარგლებში, რომლის მიზანიც მიიღწევა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით და ამ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობით ლიკვიდურობის მართვის მიზნებისთვის;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები აკმაყოფილებს SPPI ტესტს;

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები, მოგება-ზარალში ასახვით

ისეთი ბიზნესმოდელით მართული ფინანსური აქტივები, რომლის მიზანიც არც ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობაა და არც ფულადი ნაკადების მისაღებად და გასაყიდად ფლობა, ან რომელთა სახელშეკრულებო პირობები ვერ აკმაყოფილებს SPPI ტესტს, ფასდება რეალური ღირებულებით, მოგებასა და ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტას

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი ფულადი ნაკადები ასევე მოიცავს ფულად შემოდიანებებს გირაოში არსებული აქტივების რეალიზაციიდან ან სხვა საკრედიტო გაუმჯობესებებს, რაც წარმოადგენს სახელშეკრულებო პირობების განუყოფელ ნაწილს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. ფინანსური აქტივებისთვის, რომლებზეც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზარდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. ისეთ ფინანსურ აქტივებზე, რომლებზეც საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

დებიტორული დავალიანებებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც:

- ფინანსური ვალდებულებები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, ან
- ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით.

ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს საბანკო ოვერდრაფტის ჩათვლით.

შემდგომი აღრიცხვა

სესხები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, პროცენტის სესხები შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით. მოგება, ან ზარალი აღიარდება, როგორც მოგება-ზარალში, ვალდებულების აღიარების შეწყვეტის მომენტისთვის, ასევე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით ამორტიზაციის პროცესში. ამორტიზირებული ღირებულება გამოითვლება შესყიდვის პროცესში მიღებულ ნებისმიერ პრემიუმის ან ფასდაკლების გათვალისწინებით და ყველა გადასახადის და ხარჯის გათვალისწინებით, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით ამორტიზაცია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როგორც ფინანსური ხარჯები.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, ხოლო სხვა შემთხვევაში კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები გაიქვითება და ნეტო თანხა ნაჩვენებია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევაში თუ მიმდინარე პერიოდში არსებობს იურიდიული ძალის მქონე უფლება, რომ მოხდეს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვა და არსებობს განზრახვა, რომ მოხდეს ვალდებულების გასწორება ან აქტივის რეალიზაცია ერთდროულად ნეტო თანხაზე.

მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

კომპანია საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის დაქვითვით.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. ხოლო აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
კომპიუტერული ტექნიკა	5
სხვა საოფისე აღჭურვილობა	5

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

კომპანიის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიას. არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თავდაპირველი აღიარებისას თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის 5-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობისას.

კაპიტალი

სააქციო და საემისიო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც საემისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები გაცხადდება მაშინ, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლის აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მომსახურებასის გაწევა. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

- ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში.

კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;

მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს გათავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება საოპერაციო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის გაცვლითი კურსით ანგარიშგების დღეს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

არაფულადი საშუალებების კონვერტაცია, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში ისტორიული ღირებულების დადგენის მიზნით, ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობს თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი საშუალებები, რომლებიც იზომება უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა რეალური ღირებულების დადგენა. როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არამონეტარული პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგება/ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი შეცვლილი კომპონენტი აღიარებულია მოგება/ზარალში.

სხვაობები უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს, ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 USD/GEL	2.702	3.098
1 EUR/GEL	2.884	3.504

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის და არსებითობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე:

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში „ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად“

2020 წელს გამოცემული ცვლილებები, მიმართულია მოთხოვნების დაზუსტებაზე, რათა დადგინდეს, არის თუ არა ვალდებულება მიმდინარე თუ გრძელვადიანი და ვრცელდება წლიურ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვრს ან ამ თარიღის შემდეგ. თუმცა, ბასსს-მა შემდგომში შესთავაზა დამატებითი ცვლილებები ბასს 1-ში და 2020 წლის ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღის გადადება არა უადრეს 2024 წლის 1 იანვრამდე. ამ მიმდინარე განვითარებების გამო, კომპანიას არ შეუძლია განსაზღვროს ამ ცვლილებების გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე თავდაპირველი გამოყენების პერიოდში. კომპანია ყურადღებით აკვირდება მოვლენების განვითარებას.

მოსალოდნელია, რომ შემდეგი ახალი და შესწორებული სტანდარტები მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ცვლილებები ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებებში;
- ▶ სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნება (შესწორებები ბასს 1-ში და ფასს-ის მე-2 პრაქტიკულ რეკომენდაციებში);
- ▶ ბუღალტრული შეფასებების განმარტება (შესწორებები ბასს 8-ში)
- ▶ გადავადებული გადასახადი, რომელიც განგუთვნება ერთი გარიგების შედეგად წარმოქმნილ აქტივებს და ვალდებულებებს - ცვლილებები ბასს 12-ში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, ასევე წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავლებსა და ხარჯებზე.

სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება სისტემატიურად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა ხელმძღვანელობის მიერ. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების ან ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების ცვლილება მომავალ პერიოდში. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისათვის.

ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანია საქმიანობის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს ფინანსური ინსტრუმენტების საწყის აღიარებას, მათ რეალურ ღირებულებაზე დაყრდნობით. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის, გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

კომპანია ფლობს ინვესტიციებს დაკავშირებული კომპანიის პრივილეგიურულ აქციებში, რაც მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობის შედეგად მოითხოვს რეალური ღირებულების შეფასებას.

ფასს 9-ის მიხედვით, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები სამართლიანადაა წარმოდგენილი.

ამის მიუხედავად, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე მომავალ პერიოდში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია რეგულარულად ახდენს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურების შეფასების გადახედვას. ფასს 9-ს მიხედვით გაუფასურების მოდელი მოითხოვს გაუფასურების რეზერვის შექმნას ფინანსური ინსტრუმენტის წარმოქმნისას მისი თავდაპირველი აღიარების მომენტიდან, მისი საკრედიტო რისკის გაუარესების ჩათვლით. თუ არ მომხდარა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, ფასს 9 მოითხოვს რეზერვის შექმნას მომდევნო 12 თვის მანძილზე მოსალოდნელი დანაკარგებზე დაყრდნობით. თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან/და თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, სტანდარტი მოითხოვს რეზერვის შექმნას მისი სასიცოცხლო ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების მიხედვით. იმის შეფასება, განიცადა თუ არა ფინანსურმა ინსტრუმენტმა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა განსხვავდება პროდუქტის და რისკის სემენტის მიხედვით. კომპანია აღნიშნული საკრედიტო რისკის განსასაზღვრად იყენებს საკუთარ მსჯელობას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

5. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	სხვა საოფისე აღჭურვილობა	სულ
1 იანვარი 20211 იანვარი, 2021; 31 დეკემბერი, 2021 და 31 დეკემბერი 2022	8,039	156	8,195
დაგროვილი ცვეთა			
1 იანვარი 2021	4,828	91	4,919
ცვეთის ხარჯი	642	13	655
31 დეკემბერი 2021	5,470	104	5,574
ცვეთის ხარჯი	514	10	524
31 დეკემბერი 2022	5,984	114	6,098
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	2,569	52	2,621
31 დეკემბერი 2022	2,055	42	2,097

სრულად გაცვეთილი მაგრამ კვლავ გამოყენებაში არსებული ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ქონია. კომპანიის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის დატვირთული გირავნობით.

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	ლიცენზია	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
1 იანვარი 20211 იანვარი, 2021; 31 დეკემბერი, 2021 და 31 დეკემბერი 2022	500	2,149	2,649
დაგროვილი ამორტიზაცია			
1 დეკემბერი 2021	190	771	961
ამორტიზაციის ხარჯი	47	206	253
31 დეკემბერი 2021	237	977	1,214
ამორტიზაციის ხარჯი	40	175	215
31 დეკემბერი 2022	277	1,152	1,429
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	263	1,172	1,435
31 დეკემბერი 2022	223	997	1,220

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო მოთხოვნები	17,539	12,393
საგადასახადო აქტივი	261	482
გადახდილი ავანსები	248	48
გაუფასურების რეზერვი	(11,460)	(11,460)
წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,588	1,463
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ცვლილება წარმოდგენილია ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების მუხლში.		
გაუფასურების რეზერვი	2022	2021
ნაშთი წლის დასაწყისში	11,460	9,477
ცვლილება წლის განმავლობაში	-	1,983
ნაშთი წლის ბოლოს	11,460	11,460

8. ინვესტიციები

ინვესტიციები შედგება კომპანიის მიერ შეძენილი სს „ეს ეიჩი“-ს პრივილეგირებული აქციებისგან, რომლის ღირებულება 2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 308,463 ლარს.

აღნიშნული პრივილეგირებული აქციების შეძენა კომპანიის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით მოხდა ეტაპობრივად 2016 და 2018 წლების განმავლობაში და კომპანია არ ფლობს სს „ეს ეიჩი“-ს ჩვეულებრივ აქციებს.

2022 და 2021 წლებში დამატებითი ცვლილება არ მომხდარა პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციის ოდენობაში, როგორცაა ინვესტიციების შესყიდვა ან გაყიდვა. ამავდროულად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ მომხდარა პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციების რეალური ღირებულების ცვლილება, რადგან არ დაფიქსირებულა პრივილეგირებული აქციის ფასების ზრდა ან კლება 2022 და 2021 წლების განმავლობაში.

ფასს-9 მოთხოვნების შესაბამისად აღნიშნული ინვესტიცია უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით. თუმცა, გარკვეულ გარემოებებში თვითღირებულება შესაძლოა იყოს რეალური ღირებულების მართებული შეფასება. ასე შეიძლება მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ:

- რეალური ღირებულების შესაფასებლად ხელმისაწვდომი ახალი ინფორმაცია საკმარისი არ არის,
- ან არსებობს რეალური ღირებულებების შესაძლო მნიშვნელობების ფართო დიაპაზონი და ამ დიაპაზონში თვითღირებულება წარმოადგენს რეალური ღირებულების საუკეთესო შეფასებას.

ვინაიდან, სს „ეს ეიჩი“-ს პრივილეგირებული აქციები არ არის კოტირებული ბაზარზე და ხელმძღვანელობა არ ფლობს საკმარის ინფორმაციას იმისთვის, რომ საიმედოდ დაადგინოს მათი აქციების რეალური ღირებულება, აღნიშნულ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება მიჩნეულია, როგორც რეალური ღირებულების რეპრეზენტატორი.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ სს „ეს ეიჩი“ წარმოადგენს კომპანიის დაკავშირებულ მხარეს, რის შესახებაც ინფორმაცია გაშიფრულია მე-17 შენიშვნაში.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნამდე დეპოზიტები	224,097	90,490
ეროვნული ვალუტა ბანკში	2,351	32,800
ფული სალაროში	193	58
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	226,641	123,348

მოთხოვნამდე დეპოზიტები განთავსებულია საქართველოს კომერციულ ბანკებში, კერძოდ სს "კრედო ბანკში" და სს "თი-ბი-სი ბანკში". მოთხოვნამდე დეპოზიტები წარმოადგენს ვადიან დეპოზიტებს შეძენის თარიღიდან სამ თვეზე ნაკლებ და ასევე სამ თვეზე ხანგრძლივ პერიოდს, მაგრამ რომლებზეც კომპანიას აქვს ცალმხრივი უფლება გაანაღდოს ანგარიში ბანკის შეტყობინების შემდეგ, მნიშვნელოვანი ჯარიმების ან/და საურავების გარეშე.

შესაბამისად, შინაარსიდან გამომდინარე, ეს დეპოზიტები კლასიფიცირებულია როგორც მოთხოვნამდე დეპოზიტები. საშუალოდ, ვადიან დეპოზიტზე საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს 12% - 13% -მდე წელიწადში 2022 წელს, ხოლო 2021 წელს 10% - 12% - მდე წელიწადში. საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებზე 2022 და 2021 წელს წარმოადგენდა 15,610 და 7,585 ლარს, შესაბამისად ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე კლასიფიცირებულია როგორც არასარისკო და ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს.

10. საკუთარი კაპიტალი

ნებადართული აქციების რაოდენობა	გამოცემული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები
1,000,000	700,000	7,000 ლ

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2016 წლის 16 მარტის წესდების მიხედვით წარმოდგენილია ერთი თეთრის ნომინალური ღირებულების მქონე 500 000 ცალი ჩვეულებრივი აქციის სახით. აქედან 2016 წლის 16 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმით მოხდა 198,333 ცალი აქციის განაწილება, თითოეულ აქციაზე შენატანის ოდენობა კი განისაზღვრა 0.50128 ლარით. 2016 წლის 21 მარტის სამეთვალყურეო საბჭოს კრების ოქმის მიხედვით მოხდა დარჩენილი 301,667 ცალი აქციის განაწილება, აქედან 75,509 ცალ აქციაზე შენატანის ოდენობა განისაზღვრა 0.50128 ლარით, ხოლო 226,158 ცალ აქციაზე 0.51835 ლარით.

2016 წლის 5 სექტემბრის აქციონერთა კრების გადაწყვეტილებით ნებადართული აქციების რაოდენობა გაიზარდა 500,000 (ხუთასი ათასი)-ით და განისაზღვრა 1,000,000 აქციით. 2016 წლის 3 ოქტომბრის სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმის მიხედვით დამატებითი 500,000 ნებადართული ჩვეულებრივი აქციიდან გამოიცა 200,000 აქცია, რომელიც არსებულ მფლობელებზე მათი წილის პროპორციულად განაწილდა, განთავსებისას ერთი აქციის ფასად განისაზღვრა 52 თეთრი. სხვა ცვლილება ანგარიშგების თარიღისთვის არ მომხდარა. შესაბამისად 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საემისიო და სააქციო კაპიტალი შემდეგია:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საემისიო კაპიტალი	351,501	351,501
გამოცემული სააქციო კაპიტალი	7,000	7,000
სულ სააქციო კაპიტალი	358,501	358,501

კომპანია დივიდენდს გასცემს დაგროვებული განაწილებელი მოგებიდან, 2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდები.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვას კომპანიის მფლობელები ახორციელებენ კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის მისაღებად საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და აკმაყოფილებს დაწესებულ მოთხოვნას კაპიტალის მინიმალურ ოდენობასთან დაკავშირებით, რაც შეადგენს არანაკლებ 250 000 ლარს.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გადასახდელი ხელფასები	6,375	4,800
სავაჭრო ვალდებულებები	3,299	2,597
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9,674	7,397

12. შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

	2022	2021
საკომისიო შემოსავალი	88,710	30,056
სააბონენტო შემოსავალი	36,668	20,359
სხვა	18,283	5,804
სულ შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	143,661	56,219

სააბონენტო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების მხრიდან გადასახდელ ყოველთვიურ სააბონენტოებს. რომელიც აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში.

საკომისიო შემოსავლები მოიცავს ემიტენტების საჯარო და არასაჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება, და ა.შ.) დარეგისტრირებას, მოთხოვნის თანახმად აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას.

13. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	30,772	19,182
საკონსულტაციო ხარჯები	9,921	9,028
მოკლევადიანი იჯარის ხარჯი *	6,351	7,015
დაცვის ხარჯი	1,740	1,916
ცვეთის ხარჯი	739	908
საკანცელარიო ხარჯები	321	557
კომუნალური ხარჯები	362	360
გაუფასურება	-	1,983
სხვა ხარჯი	663	317
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	50,869	41,266

* აღნიშნული საიჯარო ხარჯი არის მოკლევადიანი, შესაბამისად აღიარებულია საოპერაციო იჯარად.

14. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად.

დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრვას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრვა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მოგების გადასახადის ხარჯი იყო ნული ლარი (2021: ნული ლარი).

15. პირობითი ვალდებულებები

საკანონმდებლო მოთხოვნები

საქართველოს მარეგულირებელი და საგადასახადო კანონმდებლობა ზოგიერთ შემთხვევაში ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. ხელმძღვანელობის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო თუ მარეგულირებელ ორგანოთა მიერ, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და ფინანსური მდგომარეობა შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური ვალდებულების რეზერვის აღიარება (2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასევე არ არსებობს შესაბამისი რეზერვი).

16. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მართვის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს:

- საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო, საპროცენტო და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს),
- ასევე საკრედიტო რისკებს, და
- ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა თავიდან ავიცილოთ საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება შემდეგ საბაზრო რისკებს:

- ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში (სავალუტო რისკი)
- ბ) საპროცენტო განაკვეთის მქონე აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში (საპროცენტო რისკი)
- გ) ფასების ცვლილების მიმართებაში (სხვა ფასების ცვლილების რისკი)

სს „სი ეს არ“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერი
 (ქართული ლარი)

ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. ხელმძღვანელობა აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

სავალუტო რისკი - კომპანიას არ გააჩნია ტრანზაქციები უხცოურ ვალუტაში ამ ეტაპზე. შესაბამისად სავალუტო რისკი არ წარმოიშვება.

საპროცენტო რისკი - კომპანიაზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთის დონეებში მომხდარი ცვლილებები, თუმცა კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტები მხოლოდ ფიქსირებულ პროცენტაწინა, შესაბამისად საპროცენტო რისკი ამჟამად არ ახდენს გავლენას კომპანიაზე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს თავის ვალდებულებების შესრულება. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს, აწარმოოს წინდახედული ლიკვიდურობის პოლიტიკა საკმარისი ნაღდი ფულის და საბანკო ნაშთის ფლობით, აგრეთვე ძლიერ ლიკვიდური აქტივების ფლობით ყველა საოპერაციო და სავალო მომსახურების გასაწევად, რაც უკავშირდება გადახდებს, როდესაც ისინი დაექვემდებარებიან გადახდას.

2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იყო მიმდინარე:

31 დეკემბერი, 2022

<i>ფინანსური აქტივები</i>	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	226,641	-	226,641
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,588	-	6,588
სულ ფინანსური აქტივები	233,229	-	233,229

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(9,674)	-	(9,674)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(9,674)	-	(9,674)

ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	223,555	-	223,555
------------------------------------	----------------	----------	----------------

31 დეკემბერი, 2021

<i>ფინანსური აქტივები</i>	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	123,348	-	123,348
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,463	-	1,463
სულ ფინანსური აქტივები	124,811	-	124,811

<i>ფინანსური ვალდებულებები</i>	1 წლამდე	1-5 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(7,397)	-	(7,397)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(7,397)	-	(7,397)

ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	132,208	-	132,208
------------------------------------	----------------	----------	----------------

17. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.

ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;

გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.

დ) მნიშვნელოვანი გავლენის მქონე პირების ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (გ)-ში;

ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (გ) ან (დ)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.

ვ) დასაქმების შემდგომი შედავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2022	2021
უმაღლესი ხელმძღვანელობის ხელფასი და სხვა განაცემი	21,970	10,500

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან, რომელიც ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში:

ინვესტიციები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სს „ეს ეიჩი“ სხვა დაკავშირებული მხარე	308,463	308,463
სულ ინვესტიციები	308,463	308,463

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომელიც ასახულია მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში:

შემოსავალი კლიენტებთან არსებული ოპერაციებიდან	კავშირი	2022	2021
სს „საბროკერო კომპანია კაუკასუს კაპიტალ ჯგუფი“	კომპანიის აქციონერი	252	279
სს „საინვესტიციო კომპანია იმედი“	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	120	120
სს „ეს ეიჩი“	სხვა დაკავშირებული მხარე	120	120
სულ შემოსავალი დაკავშირებულ მხარესთან		492	519
სულ შემოსავალი კლიენტებთან არსებული ოპერაციებიდან		143,661	56,219

18. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 31 მარტს.

2022 წლის განმავლობაში კომპანიის დირექტორი იყო მერაბ ვარდიაშვილია, ხოლო 2023 წლის 4 იანვარს განხორციელდა ცვლილება და დიანა საღირაშვილი დაინიშნა ახალ დირექტორად, ასევე საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, 17 თებერვალს 2023 წელს სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორად არჩეულ იქნა ერეკლე უგრელიძე.